იოსებ შენგელია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჭაქვინჯის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია და მისი სამრევლო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარიშ, ისტორიულ სოფელ ჭაქვინჯში არსებულ ციხის ეზოში მდებარეობდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. სოფელი ჭაქვინჯი სამეგრელოს მთავრების - დადიანების სოფელი იყო. აქ მდებარეობდა მათი სამთავრო რეზიდენცია და ციხე.

ჭაქვინჯის შესახებ პირველ ცნობას ვახუშტი ბატონიშვილთან ვხვდებით. ციხის შიგნით მდებარე ტაძარზე კი მარი ბროსესთნ. ბროსეს ცნობით, ტაძარში ინახებოდა წმინდა ნიკოლოზის ხატი, რომლელსაც ქონია წარწერა. ქუთაისის არქივში დაცული 1826 წლით დათარიღებული საარქივო მასალით ვგებულობთ, რომ ციხის შიგნით მდებარე წმინდა ნიკოლოზის ეკლესია მთავარ დადიანის სამთავრო კარის საყდარი ყოფილა. ამ დროისთვის აქ უმსახურია მღვდელ ნიკო ავალიშვილს.

1969-1970 წლებში მოხდა ჭაქვინჯის ციხის არქეოლოგიური შესწავლა. გაითხარა წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაც. ტაძარი ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ეკლესიის გათხრისას აღმოჩნდა ვერცხლის ხატის რამდენიმე ნატეხი, თაბაშირის კანკელის ხუთი ფრაგმენტი, XVII-XVIII საუკუნის ცხრა ცალი თურქული მონეტა „აყჩე“ და ოთხწახნაგა ისრისპირი.

ისტორიკოს თამაზ ბერაძის მოსაზრებით ჭაქვინჯის ციხე წარმოადგენდა ოდიშის საერისთაოს ცენტრს. ცნობილი ხელოვნებათმცოდნის, პარმენ ზაქარაიას მოსაზრებით, ჭაქვინჯის ციხე აშენდა ეგრისის სამეფოს არსებობის საწყის ეტაპზე. სამწუხაროდ, ციხის შიგნით არსებული ეკლესიის თარიღზე ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა საფიქრებელია, რომ ეკლესიაც ციხის თანადროულია.

წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე და მის რევლზე ძვირფასი ცნობებია დაცული თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულ მეტრიკულ წიგნებში. საკითხის შესწავლის მიზნით, თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტების დამუშავება მოხდა. გამოვლინდა გვარები, რომლებიც წმინდა ნიკოლოზის მრევლს შეადგენდა. ასევე, დადგინდა ახალდაბადებულთა

ყოველწლიური რაოდენობა 1846-1916 წლებში. დადგინდა სტატისტიკა ქორწინების ასაკისა და ასევე, გარდაცვალებულთა ასაკი და მიზეზები. შესწავლილია ტაძარში მსახური სასულიერო პირები და მედავითნეები. გამოვლინდა გვარები, რომელთა „ჯინჯ ხატად"/ძირ სალოცავადაც წმინდა ნიკოლოზის ტაძარი მიიჩნეოდა. თემაზე მუშაობისას შესწავლილია საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერი ლიტერატურა და საარქივო მასალა.

დღეს წმინდა ნიკოლოზის ეკლესიისგან მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. 2021 წლის ივნისის თვეში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ტაძრის მიმდებარედ აღმოჩნდა რამდენიმე მიცვალებულის, მათ შორის ორი ბავშვის მეშთი. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ჭაქვინჯის ციხის აღდგენა. ციხესთან ერთად სასურველია ტაძარიც აღდგეს პირვანდელი სახით.

კვლევისას გამოყენებულია ეთნოგრაფიული მონაცემებიც. ვიხელმძღვანელეთ, როგორც ემპირიული და თეორიული, ისე ინტერდისციპლინარული და ვიწრო დარგობრივი მეთოდებით. კვლევის ძირითადი შედეგია საკითხის ისტორიული და ეთნოლოგიური შესწავლა, შესაბამისად მიღებული დასკვნები - სიახლე.

Ioseb Shengelia, Sokhumi State University

Chakvinji Saint Nicholas Church and Parish

Chakvinji was a historical name of the village Jikhashkari, it was located in Samegrelo-Zemo Svaneti region, Zugdidi Municipality. There was the fortress of Chakvinji and in the middle of the fortress was Saint Nicholas Church. Princes of Samegrelo, the Dadianis possessed Chakvinji Village. Their principal residence and a castle were located there.

The first historical record about Chakvinji belongs to the famous 18th-century Georgian historian and geographer, Vakhushti Batonishvili. He described the area of the fortress as a summer residence of Samegrelo princess. The church inside the fortress was mentioned by Marie Brosset. According to Brosset, the icon of St. Nicholas, with an inscription on it, was preserved in the church. Saint Nicholas

Church was the Dadiani court main church and Niko Avalishvili served there as a priest. This fact was clarified by the archival documents dated to 1826, kept in Kutaisi Central Archive.

An archaeological study of the Chakvinji Fortress was conducted in 1969-1970. St. Nicholas Church was excavated, too. It was located in the north-eastern part of the fortress. During the excavation of the church, several pieces of silver icons, five fragments of a plaster iconostasis, nine Turkish coins "akche" (XVII-XVIII cc.), and a tetrahedral arrowhead were discovered.

According to the historian Tamaz Beradze, the fortress of Chakvinji was the centre of Odishi principality. As reported by the famous art historian, Parmen Zakaraia, the Chakvinji Fortress was built in early stage of the Egrisi Kingdom. Unfortunately, there is no information about the date of the church inside the fortress. However, supposedly it was contemporaneous with the fortress.

Precious information about St. Nicholas Church and its parish is preserved in metrical books at Tbilisi Central Archive. The documents were studied. Some family names belonging to the parish of the church were identified. Besides, the annual number of newborn babies in 1846-1916 was determined, the statistics of marriage and death ages and numbers were established, as well as the reasons of death and so on. Nowadays only the ruins of St. Nicholas Church are left. The archaeological excavations were conducted in June 2021. The remains of several deceased parsons were found. In the nearest future the restoration of the fortress is planned. It would be desirable to restore the church in its original form as well.

Empirical, theoretical, interdisciplinary and specific field methods were used for the research. The main result of the research is historical and ethnological study of the issue and, respectively, the result and conclusions are novel for the field.